**ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“** აცხადებს ტენდერს 10 სერვისცენტრში სწრაფი გადახდის აპარატების მომსახურებასთან დაკავშირებით.

**სერვის ცენტრების მისამართები:**

- მარნეულის რაიონი, ქუთლიარის საკრებულო (წითელი ხიდი) (ს/კ83.07.06.741)
- მარნეულის რაიონი, სოფელი სადახლო (ს/კ 83.16.10.330)
- დმანისის რაიონი, სოფელი გუგუთი (ს/კ 82.02.42.219)
- ლაგოდეხის რაიონი სოფ.მაწიმი (ს/კ 54.02.53.391)
- ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა, სასმელი წყალსაცავის გვერდზე (ს/კ 65.11.34.004)
- ადიგენის რაიონი, სოფელი არალი, (ს/კ 61.13.31.014)
- ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი (ს/კ 63.24.33.063)
- ქ. ბათუმი, აფსაროსის 47ა (ს/კ 05.36.22.012)
- სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი სოფ.არშა (ს/კ74.03.26.636)
- სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი  სოფ. ფანშეტი (ს/კ 74.03.14.281)

**აუცილებელი მოთხოვნები:**

- გადახდის აპარატიდან შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი საკომისიოს გარეშე თანხის “ცენტრის” ანგარიშზე შეტანა, რომელიმე ქვემოთ მითითებული კომერციული ბანკის ანვარიშზე:

- საქართველოს ბანკი,
- ლიბერთი ბანკი
- თიბისი ბანკი

- აღნიშნული ტრანზაქცია ანგარიშზე უნდა აისახოს განხორციელებიდან იმავე დღეს ინდივიდუალურად, გადახდის აპარატის იდენტიფიკატორის მითითებით.

- მომსახურე კომპანიას უნდა შეეძლოს ყველა გადახდის  აპარატში არსებული ფულადი ნაშთის მონიტორინგი მიმდინარე რეჟიმში და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ინკასაცია, მანამ სანამ გაივსება აპარატი. აპარატის ნებისმიერი მიზეზით მუშაობის დაყოვნება არ უნდა აჭარბებდეს ერთ სამუშაო დღეს

თითო ფილიალისთვის გამოყოფილი უნდა იყოს 1 (ერთი) აპარატი.

დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი აპარატის მიწოდება და განთავსება ცენტრის ნებისმიერ ფილიალში

- **ასატვირთი დოკუმენტაცია:**

შევსებული, ხელმოწერილი და კომპანიის ბეჭდით დამოწმებული ფასების ცხრილი, ატვირთული დოკუმენტის (ფასების ცხრილის) მიხედვით (ყოველთვიური და ერთ წლიანი მომსახურების საფასური დღგ-ს ჩათვლით ეროვნულ ვალუტაში)

**სატენდერო დოკუმენტაცია განათავსეთ ვებ გვერდზე https://tenders.ge/ 2025 წლის 27 ოქტომბრიდან არაუგვიანეს 2025 წლის 31 ოქტომბრის 18:00 საათისა.**